შპს „ჯეო მეტალ“

ს//კ430036695 ; ზესტაფონი, სოფ. ზედა საქარა; ტელ.: 595 94 99 42 ; E-mail: ltdgeometal@gmail.com

„-26-„ -ივნისი „ 2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „ჯეო მეტალ“-ის ფეროშენადნობთა საწარმო განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქ.თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე. საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის N2-251 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 10 აგვისტოს N DES3220000207 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს “ჯეო მეტალ“-ის კუთვნილი ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქრთველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის N2-251 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს საქმიანობა არ ხორციელდება გზშ-ს ანგარიშში განხილული სქემის შესაბამისად. კერძოდ:

- შეცვლილია საწარმოს ტერიტორიის კოორდინატები, გაზრდილია ფართობი;
- შეცვლილია საწარმოს საინჟინრო პარამეტრები;
- შეცვლილია ღუმელის განთავსებია ადგილი და ბუნკერების რაოდენობა;
- გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული საწარმოს ტერიტორიაზე წიდის დასაწყობებისა და ტერიტორიიდან გატანის ნაცვლად ხდება წიდის გაცივების უბანზერ წარმოქმნილი დიდი ზომის წიდების გადამუშავება, საწარმოში დამონტაჟებული მშრალი მსხვრევის დანადგარით და მიღებული წვრილფრაქციული წიდის კვლავ წარმოებაში გამოყენება.

ზემოაღნიშნული დარღვევებზე საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა 2023 წლის 25 აპრილის N003167 ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლითაც შპს „ჯეო მეტალ“-ს დაევალა სკრინინგის

სსიპ გარემოს ეროვნულ. სააგენტო
„27“ 06 2023
№ 5966

გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ერთი თვის ვადაში, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

ექსპლუატაციის პირობების შევცლა არ გულისხმობს საწარმოს წარმადობის, ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებული ნედლეულისა და მასალების, და სხვა პარამეტრების ცვლილებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

წარმოგიდგენთ სკრინინგის განაცხადს, გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი;
shp-ფაილები;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ამონაწერი საჯარიო რეესტრიდან.

პატივისცემით
ვიქტორ ვაჭარაძე
დირექტორი